აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 65

15/09/2016 წელი ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ

საარჩევნო სუბიექტის „ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“ მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში კანონით დადგენილ ვადაში წარმოდგენილ პარტიულ სიაში რიგით N25 ლაშა მიქელაძე არ აკმაყოფილებს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებს, ვინაიდან არ შესრულებია და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების დღისათვის არ უსრულდება 25 წელი.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის, 41-ე მუხლის მე3 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 74-ე მუხლის მე-11 პუნქტის საფუძველზე, **ვადგენ:**

1. უარი ეთქვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო რეგისტრაციაზე საარჩევნო სუბიექტის **„ირაკლი ალასანია - თავისუფალი დემოკრატები“** პარტიული სიით წარდგენილ უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატს **ლაშა მიქელაძეს** (პარტიული სიით N25).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე